

დანართი 1

I თავი

ბსუ-ს სასწავლო პროცესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარგულირებელი წესი“ განმარტავს (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 2**) ბსუ-ს სასწავლო პროცესში გამოყენებულ ტერმინებს:

აკადემიური უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბსუ-ს სტუდენტი – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და ბსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბსუ-ში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასაველად, აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს ბსუ-ში.

აკადემიური ხარისხი – კვალიფიკაცია, რომელსაც სტუდენტს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უნივერსიტეტი.

ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

ბაკალავრი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის (არანაკლებ 240) ათვისების შედეგად ენიჭება ბსუ-ს სტუდენტს;

სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა – ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

მაგისტრანტი – სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში.

მაგისტრი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების (არანაკლებ 120) რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

განათლების მაგისტრი – იმ აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელიც პირს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება. განათლების მაგისტრის აკადემიურმა ხარისხმა შეიძლება პირს მიანიჭოს მასწავლებლობის უფლება.

დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

ბსუ-ს დოქტორანტი – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე.

გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

სტუდენტის სტატუსის შეჩერება – დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

აკადემიური თავისუფლება – სტუდენტის უფლება, დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა.

საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა – ბსუ-ს პროგრამები: სამართლის, მედიცინისა და პედაგოგიური.

გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მობილობა – სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება.

შიდა მობილობა – სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებს შორის (ცხადდება წელიწადში ორჯერ, ამ წესისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი წესით).

განათლების აღიარება – საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან ამავე დაწესებულებებში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას (კრედიტებს) აღიარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული კრედიტების აღიარება ბსუ-ში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კრედიტების აღიარების წესით.

მოდული – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას.

კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

სწავლის შედეგები – საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები.

კვალიფიკაცია – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამლევით და დასტურდება ბსუ-ს მიერ გაცემული დიპლომით.

დიპლომი – ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი (გაიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე).

დიპლომის სტანდარტული დანართი – გაიცემა დიპლომთან ერთად, სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად, აგრეთვე სტუდენტის მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მიღებული განათლების შინაარსის და საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისთვის ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად.

პლაგიატი – აკადემიური არაკეთილსინდისიერება (პლაგიატის ფორმები განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით).

II თავი

საგანმანათლებლო პროგრამები

ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სრული ჩამონათვალი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (bsu.edu.ge) ფაკულტეტების მიხედვით (ვებგვერდის ველი „ფაკულტეტები“ - საგანმანათლებლო პროგრამები).

„ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილებაში (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 10**) მოცემულია ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა და მოცულობა.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის

სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 300 კრედიტს:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს:

ა) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივ და მეთოდურ მოდულს – არანაკლებ 180 კრედიტი;

ბ) თავისუფალი კომპონენტების მოდულს – არაუმეტეს 60 კრედიტი;

გ) სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს – არანაკლებ 60 კრედიტი.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (გარდა კანონით გათვალისწინებული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა) უნდა მოიცავდეს:

ა) საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდულს – არანაკლებ 120 კრედიტი;

ბ) მასწავლებლის მომზადების მოდულს – არანაკლებ 60 კრედიტი;

გ) თავისუფალი კომპონენტების მოდულს – არაუმეტეს 60 კრედიტი;

დ) სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს – არანაკლებ 60 კრედიტი.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს, დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა - 300 კრედიტს. დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტის ოდენობით, წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, საიდანაც არაუმეტეს 40%-ისა უნდა დაეთმოს სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

III თავი

ბსუ-ში სწავლის საფასური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან (ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან) დაკავშირებული რეგულაცია მოცემულია „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 3)

ბსუ-ში სწავლის საფასური განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ყოველწლიურად მტკიცდება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი, არჩევითი საგნები, კოეფიციენტები და სწავლის საფასური), რომელიც აისახება სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ბსუ-ს სტუდენტი, გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი ან ჩაირიცხა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში გაიაროს

ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი.

ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დასაწყისში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დგინდება ბსუ-ს სტუდენტთა მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის პერიოდი - სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის თარიღი. ბსუ-ს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის პერიოდი განისაზღვრება ამ პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმის (ხელშეკრულების) პირობების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის ნაწილ- ნაწილ (ეტაპებად) გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა, რაც არ გამორიცხავს სტუდენტისათვის მთელი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას (სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური, თუკი შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 1 აპრილამდე პერიოდში).

დოქტორანტი, როგორც სტუდენტი, გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას ამ წესითა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში. სასწავლო კომპონენტის - არანაკლებ 60 კრედიტის საფასურის გადახდა ხორციელდება პირველ სასწავლო წელს. სამეცნიერო კომპონენტის შესრულებისათვის საჭირო თანხის (სამეცნიერო ხელმძღვანელის მოწვევის, ადმინისტრაციული ხარჯის და სხვა) გადახდის ვალდებულება კი თანაბრად ნაწილდება დოქტორანტის მომდევნო ორი სასწავლო წლის განმავლობაში. დოქტორანტის სწავლის საფასურთან დაკავშირებული ვალდებულება აისახება მის მიერ ხელმოწერილ „ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც არის ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ან ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

IV თავი

სტუდენტის სწავლის დაფინანსება და შეღავათები ბსუ-ს ბიუჯეტიდან

ბსუ-ს ბიუჯეტიდან სტუდენტის სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 3**)

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები). სტუდენტის მიერ შესაბამისი განცხადებისა და დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება.

სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. სპეციალურ სოციალურ პროგრამას (დაფინანსების/შეღავათების სახეებს,

პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და განხორციელების წესს) შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) სრულად ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ფაკულტეტების სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილისწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს, ხოლო ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა -1000 (ათა ს) ლარს.

ბსუ-ს სტუდენტის სწავლის საფასური შეიძლება დაიფაროს ბსუ-ს ბიუჯეტიდან, თუკი პირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ბსუ-სთვის პროგრამული დაფინანსების მოცულობის ფარგლებში (დადგენილი კვოტის - დასაფინანსებელი სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში) ჩაირიცხება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობის/შიდა მობილობის განხორციელების შედეგად ან აღდგენილი იქნება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსში (შეჩერებული სტატუსის მქონე) და ბსუ-ს იღებს (ან უკვე მიღებული აქვს) შესაბამისი ოდენობით პროგრამული დაფინანსება.

V თავი

სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია და დატვირთვა

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებაში (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 2**) განმარტებულია სტუდენტის აკადემიურ რეგისტრაციასთან და სემესტრულ დატვირთვასთან დაკავშირებული რეგულაცია.

ბსუ-ში სასწავლო წლის (სემესტრების) დაწყებისა და დასრულების, სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

სასწავლო წელი ორსემესტრიანია. თითოეული სემესტრი მოიცავს 20 კვირას, საიდანაც:

- ა) 16 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას, მათ შორის ერთი კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდებს.

- ბ) 3 კვირა – ძირითად საგამოცდო სესიებს.

- გ) 1 კვირა – დამატებით საგამოცდო სესიებს.

სასწავლო პროცესის საჭიროების შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დასაშვებია სწავლება-სწავლის პროცესის არასრული დატვირთვით განხორციელება. სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის არასრული

დატვირთვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიური საბჭოს.

ბსუ-ში სასწავლო პროცესი ხორციელდება დასწრებული სწავლების ფორმით ან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შეიძლება შემუშავდეს სტუდენტის/უნივერსიტეტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად, როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის, სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 კვირისა. სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არა უმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა).

სტუდენტის სავალდებულო დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის დარეგისტრირება. მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის არასრული დატვირთვით განხორციელების შემთხვევაში ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო /სამაგისტრო ნაშრომი დასხვ.).

სტუდენტის აკადემიური დატვირთვა მოიცავს:

- ა) დარეგისტრირებულ სავალდებულო და არჩევით კურსებზე (ლექციებზე) დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- გ) სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებით ან საწარმოო პრაქტიკას;
- დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- ე) სასწავლო-სამეცნიერო(მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო სტატია, საბაკალავრო, სამაგისტრო, სასემინარო)ნაშრომზე მუშაობას;
- ვ) ბსუ-ს კლინიკაში ან ლაბორატორიაში მუშაობას;
- ზ) შემოქმედებით პროექტზე მუშაობას;

სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი. კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების აღების პირობები განისაზღვრება კურსის სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, **სტუდენტმა** (გარდა პირველი სემესტრის სტუდენტისა) საგამოცდო პერიოდში უნდა გაიაროს მომდევნო სემესტრის

აკადემიური რეგისტრაცია, რაც გულისხმობს ელექტრონულად (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით) ძირითადი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას. სტუდენტს უფლება აქვს, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში (დასაბუთებული განცხადების წარმოდგენისას), მხოლოდ ერთხელ შეიტანოს ცვლილება ელექტრონული რეგისტრაციის ფორმაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 კვირისა სემესტრის დაწყებამდე.

დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტის მიერ უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მე-4 სემესტრისა, ძირითად საგამოცდო პერიოდში. დამატებით სპეციალობაზე რეგისტრაციისათვის სტუდენტი მიმართავს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და ავსებს შესაბამის ფორმას. ამ სტრუქტურული ერთეულის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტთა დამატებით სპეციალობაზე რეგისტრაციის შესახებ. სტუდენტის მიერ დამატებითი სპეციალობის ფარგლებში დარეგისტრირებული საგნები/მოდულები აისახება აგრეთვე, ელექტრონული რეგისტრაციის ფორმაში. არჩეული დამატებითი სპეციალობის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის (სემესტრის) დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა. სტუდენტი უფლებამოსილია ასევე: არჩევითი კურსი/მოდული, რომელიც აირჩია და გაიარა წინა სემესტრში, მაგრამ ჩაიჭრა, შეცვალოს იმავე ოდენობით კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსით/მოდულით; შეფასების გაუმჯობესების მიზნით ხელახლა დაარეგისტრიროს და ისწავლოს იგივე სასწავლო კურსი, ასეთ შემთხვევაში სტუდენტს საბოლოო შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი. აღნიშნული უფლებებით სტუდენტი სარგებლობს საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადაში და სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

სტუდენტს, უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი/მოდული, თუკი მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი „(F) ჩაიჭრა“ შეფასება, ხოლო მე-4 სემესტრის მაგისტრანტი, რომელსაც აქვს აკადემიური დავალიანება სასწავლო კომპონენტის სახით, უფლებამოსილია მიმდინარე სემესტრში დაარეგისტრიროს იგი კვლევით კომპონენტთან (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება) ერთად იმის გათვალისწინებით, რომ ერთ სასწავლო წელში ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 75 კრედიტს. ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი უფლებამოსილია გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის აპრობაცია, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მისი დაშვება განისაზღვრება მას შემდეგ, როცა სრულად ექნება შესრულებული სასწავლო კომპონენტი.

სასწავლო კურსში/მოდულში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის დარეგისტრირების მიზნით.

დასაშვებია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მე-3 სასწავლო წლის სტუდენტებისათვის პროგრამით დაგეგმილი შორეული სავლე პრაქტიკის გავლის (სასწავლო კომპონენტის-5 კრედიტის შესრულების) ვალდებულების გადავადება ერთჯერადად, ერთი სასწავლო წლის ვადით (მომდევნო სასწავლო წლის სტუდენტებთან ერთად გავლის პირობით). ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის მიერ ბოლო სასწავლო წელს ათვისებული კრედიტების

რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 75 კრედიტს. გადავადების შესახებ სტუდენტის განცხადებისა და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

VI თავი

სტუდენტის სწავლის შედეგი და შეფასება

ბსუ-ს სასწავლო პროცესში სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის შეფასების რეგულაცია მოცემულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებაში (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 2).

1. სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი ან სხვ.) სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.

2. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა;

3. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ნაწილს წარმოადგენს შეფასების კომპონენტები, რომლებიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.):

3.1 შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს:

3.1.1 შუალედურ გამოცდას - 20 ქულა;

3.1.2 მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა:

ა) წერით გამოკითხვებს (წერიტი დავალება, ტესტი, რეზიუმე, ქვიზი, საშინაო დავალება, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსი და სხვ.)- მაქსიმუმ 30 ქულა;

ბ) ზეპირ გამოკითხვებს (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, სემინარი, აქტივობა და სხვ.)- მაქსიმუმ 20 ქულა;

გ) შეფასების სხვა სახის მეთოდს (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვ.) - მაქსიმუმ 15 ქულა;

3.1.3 შეფასების სხვა სახის კომპონენტს (პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.)- მაქსიმუმ 15 ქულა;

3.2 დასკვნითი შეფასების ფორმებია:

ა) დასკვნითი გამოცდა;

ბ) სხვა სახის შეფასება.

4. შეფასების თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერიტი გამოკითხვა (რომელიც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სირთულის, ფორმისა და შინაარსის თეორიულ საკითხებს, პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ამოცანებს, ღია, დახურულ ან/და მრავალპასუხიან ტესტებს და სხვ.) შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული ღია ტესტი ან მრავალპასუხიანი დახურული ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 1 ქულით;

დ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული დახურული ერთპასუხიანი ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 0.5 ქულით;

5. შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს წერიტი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - მხოლოდ წერიტი (არა მხოლოდ ტესტირებული) ან კომბინირებული (წერიტი და ზეპირი) ფორმით. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში, წერიტი ნაწილის ხვედრითი წილი უნდა იყოს გამოცდის საერთო შეფასების არანაკლებ 50%. გამონაკლის შემთხვევაში, პროფესორის/მასწავლებლის დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე, დასაშვებია დასკვნითი გამოცდის მხოლოდ ზეპირი ან ტესტირებული ფორმით ჩატარება. დასკვნითი გამოცდის ბილეთი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს:

- ა) თეორიულ საკითხებს - ერთი საკითხი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- ბ) პრაქტიკულ დავალებებს - ერთი დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- გ) სიტუაციურ ამოცანებს - ერთი ამოცანა ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;
- დ) ღია, დახურულ ან/და მრავალპასუხიან ტესტებს - ფასდება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;
- ე) სხვა ტიპის დავალებებს - ერთი დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.
6. პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემთხვევაში შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის შესაძლებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეფასების კომპონენტებისაგან განსხვავებული კომპონენტების გამოყენება;
7. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა);
8. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა);
9. **სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.**
10. სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში, რომლის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
11. სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგნაირად:
- ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;
- ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.
12. **სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:**
- ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ბსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას და ბსუ-ს ეთიკის კოდექსს;
- ბ) დასკვნით გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ვერ გადალახვა;
13. ბსუ-ში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამისი კოეფიციენტის (50 ქულამდე - 0; 51-დან 61-მდე -1.55; 61-დან 71-მდე -2.16; 71-დან - 81-მდე - 2.77; 81-დან 91-მდე - 3.38; 91-ზე მეტი -4) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. $GPA = (\sum GP \cdot CR) / (\sum CR)$, სადა GP - წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასების (ქულის) შესაბამის კოეფიციენტს, ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს.

VII თავი

საგამოცდო პროცესი და შედეგების გასაჩივრება

ბსუ-ში საგამოცდო პროცესი წარმართება „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ შესაბამისად (იხ. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის N05 დადგენილება, **გზამკვლევის დანართი N19**), რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტის ქცევის წესები გამოცდის მიმდინარეობის დროს, ასევე საგამოცდო პროცესზე დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები.

საგამოცდო ცენტრში და იმ აუდიტორიებში, სადაც ტარდება გამოცდები, მიმდინარეობს ვიდეო-

მონიტორინგი.

შუალედურ ან/და დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოცდის აღდგენის, დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები დასტუდენტის მიერ მიღებული შედეგის გასაჩივრების მექანიზმი აღწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 2).

შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში (განსაკუთრებული საპატიო მიზეზით - ოჯახის წევრის გარდაცვალება და უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობა), გამოცდის აღდგენა დასაშვებია გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა. სტუდენტმა გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და წარუდგინოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების დამადასტურებელი არგუმენტები და მტკიცებულებები (დოკუმენტი/ცნობა). სტუდენტის განცხადება დეკანის მიერ განიხილება 2 სამუშაო დღის ვადაში და გამოიცემა დეკანის ბრძანება, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება სტუდენტს და შესაბამისი საგნის ლექტორს.

დასკვნით (ძირითად) გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია იმავე წესით, როგორც ეს განმარტებულია შუალედური გამოცდებისათვის (იხილეთ ზემოთ).

სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, თუკი შესაბამისი სასწავლო კურსში საბოლოო შეფასება (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგები) აქვს (FX)ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო 41 ქულაზე ნაკლები ან არ გამოცხადდა, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

გამოცდის შედეგები (შეფასება) სტუდენტს ეცნობება შესაბამისი გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში. შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. დარეგისტრირებული საჩივარი ფაკულტეტის დეკანის მიერ რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, რომელიც განიხილავს მას 2 სამუშაო დღის ვადაში. დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლექტორი/კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო ნიშნის ასახვის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუკი საჩივრის (პრეტენზიის) წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება განხილული საჩივარი ან ლექტორის მიერ მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას. ამ კომისიას უფლება აქვს პირველივე სხდომაზე დაადგინოს სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ბსუ-ში მოქმედ წესებს, ასევე შესაბამისი საგნის სპეციფიკას.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორს. პრეტენზიის დაკმაყოფილების

შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო შეფასების ასახვის თაობაზე.

VIII თავი

კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის სტანდარტული დანართით გაცემის პროცესი რეგულირდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N2), ხოლო დოქტორანტურის სტუდენტებისათვის „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N19 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N20).

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კომისიური წესით კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას, მათ მიერ პროგრამის მოთხოვნების შესრულების ფაქტის დადგენის მიზნით. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს აძლევს გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს.

პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი, რაც დაუყოვნებლივ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ხოლო ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას ამ სტუდენტისათვის დიპლომის შესაბამისი სტანდარტული დანართით გაცემის შესახებ. ამის შემდეგ ფაკულტეტის ადმინისტრაცია ამზადებს დიპლომის სტანდარტულ დანართს, რომელიც დიპლომთან ერთად გაიცემა სტუდენტის მომართვის საფუძველზე ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის მიერ.

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში აღმოჩენილი აკადემიური სიყალბის (პლაგიატის) დადასტურების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გაბათილდება ამ სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, რაც დიპლომის გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გაუქმების საფუძველია.

დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ბსუ-ს დოქტორანტს ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, ამ საბჭოს დებულებისა და „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილების საფუძველზე. დებულების მე-15 მუხლის თანახმად, დოქტორის დიპლომი სტანდარტულ დანართთან ერთად გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ. დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადაში (1–3 თვე) გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. დისერტაცია ელექტრონული

ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

IX თავი

მობილობა ბსუ-ში

საქართველოს სხვადასხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს შეუძლიათ გადმოვიდნენ და სწავლა გააგრძელონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ).

მობილობის პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ - **შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში** (კონკრეტულ ვადებს ადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად. მობილობის მსურველი სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე, გააკეთოს განაცხადი მობილობაზე, გადაიხადოს მობილობის საფასური, ხოლო დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოადგინოს:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ (გაიცემა ფაკულტეტის მიერ);
- ე) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
- ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ზ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის შესახებ განცხადება (აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ).

შიდა

მობილობა

შიდა მობილობის ფარგლებში, ბსუ-ს სტუდენტს (მათ შორის სტატუსშეჩერებულ სტუდენტს) საშუალება აქვს შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა იმავე ფაკულტეტზე ან გადავიდეს ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება არა აქვს დამატებითი სემესტრის სტუდენტს.

შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ ცხადდება, სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში და წარიმართება „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების შესაბამისად (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 9**)

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველებმა (სტატუსშეჩერებულმა/2010 წლის 4 თებერვლამდე სტატუსშეწყვეტილმა პირებმა) რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ (გაიცემა ფაკულტეტის მიერ);
- დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი;
- ე) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განცხადება (აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);

შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების რაოდენობა თუკი აღემატება ვაკანტური ადგილების რაოდენობას, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები.

მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ან/და მობილობის მსურველს ჩაუტარდეს გასაუბრება/გამოცდა.

ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეწყვეტილი/სტატუსშეჩერებული პირის აღდგენის წესით ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მასზე რიცხული ფინანსური დავალიანების დაფარვის შემთხვევაში.

X თავი

საუნივერსიტეტო სტიპენდიები

ბსუ-ში გაიცემა სხვადასხვა სახის სტიპენდიები. მათი დანიშვნა-გაცემის რეგულაცია მოცემულია „ბსუ-ს სტუდენტთათვის ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის N04 გადაწყვეტილებაში (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 4**).

ბსუ-ს სტიპენდიები ენიშნებათ:

ა) **ბსუ-ს ბაკალავრიატის პირველი სასწავლო წლის სტუდენტებს**, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგად სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ აბიტურიენტის განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) პირველ ნომრად მითითებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ამავდროულად, მეოთხე დამატებით გამოცდაზე მიღებული აქვს ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი (სკალირებული) ქულა. სტიპენდია (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) გაიცემა პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში 1 ოქტომბრიდან თებერვლის ჩათვლით პერიოდში;

ბ) **„ჩვეულებრივი სტიპენდია კარგონისათვის“** (ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება არანაკლებ „ძალიან კარგი“);

გ) „ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“ (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე სემესტრიდან ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც წინა სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება „ფრიადი“);

დ) „სახელობითი სტიპენდია“ (ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) შესაბამის ფაკულტეტებზე, ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში „საშუალო შეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები);

ე) ავთანდილ ზარათაშვილის სახელობის სტიპენდია (312 ლარის და 50 თეთრის ოდენობით) – ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები და გამოირჩევიან სწავლაში წარმატებებით (შეფასებები 81 ქულა და მეტი). სტიპენდია ინიშნება სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), თუ გასული სასწავლო წლის (წლების) განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში მიღებული აქვს შეფასება „კარგი“ (შეფასებები 81 ქულა და მეტი). სტიპენდიის მისაღები პერიოდი მოიცავს შესაბამისი სასწავლო წლის ოქტომბრიდან ივლისის ჩათვლით პერიოდს;

ვ) საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია (200 ლარის ოდენობით) 1. შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია; 2. ხუსეინ ნაკაიძის სახელობის სტიპენდია) - სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) შესაბამის ფაკულტეტებზე, ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში „საშუალო შეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები);

ზ) გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის ერთჯერადი სტიპენდია – ბსუ-ს სტუდენტის მიერ უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების შესაბამისად გამოიცემა რექტორის ბრძანება ერთჯერადი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. სტიპენდიის ოდენობა არის სტუდენტისათვის აღიარებული კრედიტების საფასურის ექვივალენტი. სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების გამოცემის საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათი და სტუდენტის განცხადება.

ბსუ-ში დაწესებულია შემდეგი „სახელობითი სტიპენდიები“:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

- 1) პროფ. როლანდ კომახიძის სახელობის;
- 2) პროფ. დავით ხახუტაიშვილის სახელობის;
- 3) პროფ. აბელ სურგულაძის სახელობის;
- 4) სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე

- 1) აკად. მემედ კომახიძის სახელობის;
- 2) დოც. ვლადიმერ ქემხაძის სახელობის;
- 3) დოც. ოთარ ახვლედიანის სახელობის.

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

- 1) აკად. დურსუნ ბალაძის სახელობის;
- 2) ხუსეინ ხალვაშის სახელობის.

განათლების ფაკულტეტზე

- 1) სილოვან დადუნაშვილის სახელობის;
- 2) გულო ალა კაკაციაშვილის სახელობის.

იურიდიულ ფაკულტეტზე

- 1) პროფ. სერგო ჯორბენაძის სახელობის.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

- 1) ტბელ აბუსელიძის სახელობის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

- 1) პროფ. ვახტანგ პაპუნძის სახელობის;
- 2) პროფ. ვალერიან მელქაძის სახელობის;
- 3) პროფესორ გივი გამსახურდიას სახელობის.

ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე

- 1) ნიკო ნიკოლაძის სახელობის;
- 2) აკად. ლევან ყანჩაველის სახელობის.

ტურიზმის ფაკულტეტზე

- 1) ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის.

სტიპენდია არ ენიშნება/არ გაიცემა:

- ა) ბსუ-ს სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;
- ბ) სტუდენტზე, რომელსაც სრულად არა აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ეტაპისათვის გათვალისწინებული კრედიტები (გარდა გაცვლითი პროგრამიდან დაბრუნებული სტუდენტისა, პროგრამებს შორის განსხვავებული კრედიტების ასათვისებლად ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული განრიგის ამოწურვამდე).

სტუდენტს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიპენდიის მიმღებს, ერთდროულად ორი სხვადასხვა ან ერთი და იმავე სახის სტიპენდია არ დაენიშნება, ხოლო თუკი დანიშნული აქვს - მასზე ბსუ-ში გაიცემა სტიპენდია, სტუდენტის არჩევანის მიხედვით.

XI თავი

სტუდენტის სტატუსის შეჩერება

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგულაცია განისაზღვრება ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლით, შესაბამისი აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურისთვის - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით და დოქტორანტურის საფეხურისათვის „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 20**) და „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 3**).

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელია;
- ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა).

„ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით **სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღისა**. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როცა დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით, დეკანის წარდგინების საფუძველზე.

სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბრძანება გამოიცემა სტუდენტის მომართვის საფუძველზე, **მაგრამ სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღისა**. სტუდენტის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის სემესტრში (გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრში, როცა პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს შიდა მობილობის პროცესში.

შესაბამის სემესტრში **აკადემიური რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ**, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და დეკანის ოფისიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიცემა რექტორის ბრძანება აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელია გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სტუდენტს არ დაერიცხება შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასური.

შესაბამის სემესტრში (შესაბამის ეტაპზე) **ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელია** - სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით

ამ სასწავლო წელს განსაზღვრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის საფასურის გადახდის წესის მიხედვით.

დამატებითი სასწავლო წლის/სემესტრის სტუდენტს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი არ უჭირდება და გამოიცემა ბრძანება ამ პირისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

XII თავი

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლში, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისათვის (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 2**) „ბსუ-ს დოქტორანტურის განხორციელების წესით“ და „ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 7**)

ბსუ-ს წესდების თანახმად ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- გ) აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- დ) ერთი და იმავე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება;
- ე) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- ვ) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;
- ზ) გარდაცვალება.

ბსუ-ს ეთიკის კოდექსის შესაბამისად, უნივერსიტეტის სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელი შეეფარდება სტუდენტს/მსმენელს შემდეგი ეთიკური გადაცდომის შემთხვევებში:

- ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერულიან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);
- ბ) გამოცდაზე შევა სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;
- გ) ჩაიდენს აკადემიურ სიყალბეს (პლაგიატს)-სასწავლო პროცესში შესაფასებლად წარადგენს სხვის ნაშრომს, როგორც საკუთარს;
- დ) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად აწარმოებს თავის თვის ან სხვა სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხავს).

საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შედეგად, იმ სტუდენტთა მიმართ, რომელთაც აქვთ დავალიანებული საგნები (აუთვისებელი კრედიტები) შესაბამისი

ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. სტუდენტებს, რომელთა დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75-ს, უწყდებათ სტუდენტის სტატუსი, ხოლო სხვა დანარჩენთა მიმართ, თუკი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართავენ ბსუ-ს დამატებითი სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლების მინიჭების თხოვნით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გაუხანგრძლივდებათ სწავლების ვადა ერთი სასწავლო წლით.

დამატებითი სასწავლო წლის სტუდენტი ვერ სარგებლობს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლებით.

პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ალტერნატიულ პროგრამას ამ სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით (გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან.

XIII თავი

სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-44-ე მუხლებით, ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლით, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით და აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურისთვის - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით (გზამკვლევის დანართი 2) და დოქტორანტურის საფეხურისათვის - „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებით, წინამდებარე გზამკვლევის დანართი 20).

1. ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების მიხედვით:

1.1. სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიწყვიტოს ან შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობით/შიდა მობილობით;

- დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებში;
- ე) მიიღოს კონსულტაცია ბსუ-ს უფლებამოსილი პირისგან საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე;
- ვ) მოითხოვოს ცოდნის ობიექტური/სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამოცდების შედეგები;
- ზ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- თ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- ი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით გადავიდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე; საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისთვის, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისთვის, გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაიტანოს მაგისტრატურის სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას, თუ სწავლას გააგრძელებს იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე ან პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით გაერთიანებულია ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში;
- კ) საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს წესდებისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან, ბსუ-სგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- ლ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- მ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- ნ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- ო) განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

1.2. სტუდენტი

ვალდებულია:

- ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) და შეასრულოს შესაბამისი საგნების სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაო.
- ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა.
- გ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ბსუ-ში სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია).
- დ) სისტემატიურად ისარგებლოს „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით, რომლის საშუალებითაც მიეწოდება მას უნივერსიტეტისაგან გაგზავნილი შეტყობინებები ან/და ინფორმაცია შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე.
- ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი

ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge.) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“).

ვ) ჯეროვნად შეასრულოს უნივერსიტეტის აქტებით, მოქმედი კანონმდებლობითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები (ხელშეკრულების ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით).

2. **სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია**, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები. ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ ინახება განცალკევებულად (პირად საქმეში/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში). სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ბსუ-ს ადმინისტრაცია ხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

3. **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის** ბსუ-ში დაწესებულია შეღავათები, მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად (მოქმედებს სპეციალური სოციალური პროგრამა, რომელშიც მონაწილეობის შედეგად ფინანსდება ბსუ-ში მისი სწავლა, დაგეგმილია ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები).

4. **სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით** ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური ბსუ-ს სტუდენტებს ყოველდღიურად უწევს კონსულტაციებს.

XIV თავი

სტუდენტის წახალისება და დისციპლინური საქმისწარმოება

ბსუ-ს სტუდენტის წახალისებისა და დისციპლინური საქმისწარმოების რეგულაცია განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლით, „ბსუ-ს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 6**) და ბსუ-ს ეთიკის კოდექსით.

1. **წახალისების პროცედურა** განსაზღვრულია ბსუ-ს შინაგანაწესით, რომლის თანახმად:

სწავლასა და სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს **წახალისების შემდეგი სახეები**:

ა) **მადლობის გამოცხადება** (გამოცემა ფაკულტეტების დეკანების ან/და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება).

ბ) **ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემა** (ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობით ბრძანებას გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის ან სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის და სამსახურის ან სტუდენტთა თვითმმართველობის წერილობითი მომართვის საფუძველზე);

გ) ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა (გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით);

დ) ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობის სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი დადგენილია ბსუ-ს შინაგანაწესით. დისციპლინური წარმოების საკითხს იხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს (ფაკულტეტის დეკანს) თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს შესაბამისი კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული ბსუ-ს გადაწყვეტილება.

XV თავი

უნივერსიტეტში ქცევის წესი და სტუდენტის ეთიკის კოდექსი

სტუდენტის მხრიდან სასწავლო პროცესში გამოვლენილ არაკეთილსინდისიერების ფაქტებზე და უნივერსიტეტში დადგენილი ქცევის წესების დარღვევაზე რეაგირების მექანიზმები განსაზღვრულია „ბსუ-ს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 6), „ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 7) და თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის მარეგულირებელი წესებით (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურისთვის - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით და დოქტორანტურის საფეხურისათვის „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 20).

სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დაიცვას წინამდებარე ეთიკის კოდექსით დადგენილი და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები.

სტუდენტის მხრიდან ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა:

ა) სააუდიტორიო მეცადინეობაზე ან/და სხვა სახის საუნივერსიტეტო ღონისძიებაზე დაგვიანება;

- ბ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელშეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
- გ) მოწვევა უნივერსიტეტის შენობაში;
- დ) უნივერსიტეტში ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღის შემოტანა ან/და გავრცელება, ალკოჰოლური სასმელის, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშაულებების შემოტანა, გავრცელება ან/და მოხმარება;
- ე) აზარტული თამაშები;
- ვ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა ან/და გავრცელება, რომელიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
- ზ) ბილწისტიყვაობა ან ძალადობა, სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სტუდენტების ან/და პერსონალისათვის;
- თ) ინვენტარით სარგებლობის წესების დარღვევა (ინვენტარზე წარწერის გაკეთება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანება);
- ი) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერ-სახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;
- კ) იმ პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, ვისაც უფლება აქვს აღძრას დისციპლინური ღონისძიების გამოყენების საკითხი.

აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესების დარღვევად მიიჩნევა:

- ა) სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან გადაწერა, ან ისეთი დამხმარე მასალის გამოყენება, რაც პროფესორ-მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;
- ბ) სხვა პირის ნამუშევრის თავისად წარმოჩენა;
- გ) სასწავლო პროცესისათვის/სტუდენტებისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით, ან განადგურებით;
- დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში დახმარება;
- ე) კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება;
- ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება, ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;
- ზ) პლაგიატი (სხვისი ნამუშევრის სრულად ან ნაწილობრივ გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე), ან/და საბაკალავრო/სადისერტაციო/სამაგისტრო თეზისის შექმნა;
- თ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვისი შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
- ი) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება ან/და გამოყენება;
- კ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან/და შეცვლა;
- ლ) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება;
- მ) გამომცდელზე ზეწოლით შეფასების მიღების მცდელობა.

უნივერსიტეტში მოქმედი თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელთა მოქმედი რედაქციები შემუშავდა 2017 წელს, ითვალისწინებს **პლაგიატის, როგორც აკადემიური სიყალბის (არაკეთილსინდისიერების)** ჩადენის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, პლაგიატი არის აკადემიური არაკეთილსინდისიერება, რომლის ფორმები განსაზღვრულია 2017 წელს შემუშავებული უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით. ამ კოდექსის თანახმად, სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პერსონალს ევალება გამოავლინოს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევა (არსებობის შემთხვევაში), კომპეტენციის ფარგლებში გამოიკვილოს გამომწვევი მიზეზი და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედების აღსაკვეთად.

ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სასწავლო პროცესში (მიმდინარე, შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდების პერიოდი თუ საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ეტაპზე) **სტუდენტის მხრიდან პლაგიატის ჩადენის შემთხვევაში** ბსუ-ს პერსონალი (აკადემიური, სამეცნიერო ან/და მოწვეული) ვალდებულია სტუდენტს გაუფორმოს შეფასება - „0“ და სამსახურებრივი ბარათით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვის მიზნით.

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში აღმოჩენილი აკადემიური სიყალბის (პლაგიატის) დადასტურების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გაბათილების შესახებ შესაბამისი დათქმა არარსებობდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი იქნა შესაბამის რეგულაციებში 2017 წლის ივნისში შეტანილი ცვლილებებით.

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის თანახმად ეთიკის კოდექსის უხეშ დარღვევად ჩაითვლება პროფესორ-მასწავლებლის შემდეგი ქმედება: ა) პლაგიატი; ბ) სტუდენტის შესაძლებლობის პირადი სარგებლის მიზნით გამოყენება; გ) სტუდენტისგან, უნივერსიტეტში დასაქმებული ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის/თანხის მიღება სარგებლის სანაცვლოდ ან პირიქით.

უნივერსიტეტის სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელი შეეფარდება სტუდენტს/მსმენელს შემდეგი ეთიკური გადაცდომის შემთხვევებში:

- ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერულიან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);
- ბ) გამოცდაზე შევა სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;
- გ) ჩაიდენს აკადემიურ სიყალბეს (პლაგიატს)-სასწავლო პროცესში შესაფასებლად წარადგენს სხვის ნაშრომს, როგორც საკუთარს;
- დ) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად აწარმოებს თავის თვის ან სხვა სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხავს).

სტუდენტის ქცევის წესები ბსუ-ს საგამოცდო პროცესში განისაზღვრება „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ შესაბამისად (იხ. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის N05 დადგენილება, **გზამკვლევის დანართი N19**), კერძოდ, **სტუდენტი ვალდებულია:**

ა) გამოცდების განრიგით დადგენილ დროს გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში (საგამოცდო მასალის დარიგების, კომპიუტერთან გამოცდის დაწყების შემდეგ) იგი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) გამოცდაზე დასაშვებად იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან პასპორტი), რომელიც უნდა მოათავსოს სამუშაო მაგიდის კუთხეში;

გ) ზედმეტი ნივთები, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა, გამოცდის დასრულებამდე ჩააბაროს უფლებამოსილ პირს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან.

დ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ ასეთი პრეტენზია არ მიიღება.

ე) საგამოცდო ფურცელზე ამისათვის განკუთვნილ ადგილზე დააწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, საგნის დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი;

ვ) არ გადაშალოს საგამოცდო ბილეთი, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა;

ზ) საგამოცდო ნაშრომი შეასრულოს ლურჯი ფერის პასტით (აკრძალულია მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ან რაიმე სახის მინიშნების შესრულება).

თ) სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები გადასცეს დამკვირვებელს/ლექტორს, კომპიუტერთან მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში დასრულების შესახებ აცნობოს დამკვირვებელს და ისე დატოვოს საგამოცდო ცენტრი;

გამოცდაზე დავალების შესრულების დაწყება შეიძლება საგამოცდო მასალის დარიგების, კომპიუტერში შესაბამისი მასალის ჩატვირთვისა და საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ. დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში კი მოიხსნება გამოცდიდან.

გამოცდის პროცესის დროს ასევე აკრძალულია:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა (მოიხსნება გამოცდიდან);

ბ) სტუდენტებს შორის საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება (მიიღებს ჯერ გაფრთხილებას, მსგავსი ან სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან);

დ) მობილური ტელეფონის ან სხვა რაიმე ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება კალკულატორის ნაცვლად (მოიხსნება გამოცდიდან);

ე) გადაწერა, ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება. „შპარგალკად“ შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, ელექტრონული (მობილური ტელეფონი და სხვ.) და ა.შ.) დაწერილი თუ ჩაწერილი საგამოცდო საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე ნებისმიერი სახის ფურცელი, თუ იგი არ არის გაცემული საგამოცდო დავალებასთან ერთად, ან არ აქვს დამკვირვებლის ხელმოწერა (მოიხსნება გამოცდიდან).

ვ) კალკულატორის ან/და კოდექსის გადაცემა სხვა სტუდენტისათვის. ეს ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და ორივე გამოსაცდელი გაფრთხილების შემდეგ განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;

ზ) საგნის ლექტორისათვის/დამკვირვებლისათვის, საგამოცდო დავალების შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტს ემლევა გაფრთხილება, განმეორებისას კი მოიხსნება გამოცდიდან;

გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტის მიერ დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა (ხმამალალი და ხელისშემშლელი საუბარი, სხვა პირისაგან დახმარების მიღება, საგამოცდო მასალის განზრახ დაზიანება, კარნახი, ნებართვის გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, ქცევით გამოცდის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა ან სხვა).

სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს საგნის ლექტორის/დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის, გამოცდიდან მისი მოხსნისა და შეფასების გაუქმების შესახებ.

გამოცდის ჩატარების ინსტრუქციით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - „0“.

ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში და იმ აუდიტორიებში, სადაც საგამოცდო პროცესი მიმდინარეობს, დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. საგამოცდო პროცესის მონიტორინგის პროცესში აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და დარგობრივი დეპარტამენტები.

XVI თავი

პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, **პლაგიატი განმარტებულია, როგორც აკადემიური არაკეთილსინდისიერება**, რომლის ფორმები განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით.

„ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებითა (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 7) ბსუ-ს სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის ერთ-ერთი ვალდებულებაა გამოავლინოს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევა (არსებობის შემთხვევაში), კომპეტენციის ფარგლებში გამოიკვილოს გამომწვევი მიზეზი და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედების აღსაკვეთად.

„ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-16¹ მუხლით რეგულირდება ბსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა, რაც მდგომარეობს შემდეგში:

სასწავლო პროცესში (მიმდინარე, შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდების პერიოდი) სტუდენტის მხრიდან პლაგიატის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი (აკადემიური, სამეცნიერო ან/და მოწვეული) ვალდებულია სტუდენტს გაუფორმოს შეფასება - „0“ და სამსახურებრივი ბარათით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს;

ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის მიერ **საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ეტაპზე (აპრობაცია) პლაგიატის გამოვლინების შემთხვევაში**, ნაშრომი არ უნდა იქნეს დაშვებული საჯარო დაცვაზე და შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს ფაკულტეტის დეკანს, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვის მიზნით. საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფასების ეტაპზე პლაგიატის გამოვლინების შემთხვევაში კი, ამის შესახებ უნდა მიეთითოს რეცენზენტების დასკვნაში და წარედგინოს დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, არსებული რეგულაციებით, ფაკულტეტის დეკანმა უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომელიც აკადემიურ საბჭოს წარუდგენს პლაგიატის შემსწავლელი კომისიის შემადგენლობას დასამტკიცებლად.

აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული მოკლევადიანი შედეგად წარმოდგენილ კომისიის დასკვნის საფუძველზე აკადემიური საბჭო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას (მიმართავს რექტორს სტუდენტის მიმართ ეთიკის კოდექსით და შინაგანაწესით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით) და წარდგინებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს, უნივერსიტეტის ფარგლებში დაცულ ან დასაცავად წარდგენილ სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომზე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დარღვევის/დარღვევებისას მინიჭებული/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით;

„ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში აღმოჩენილი აკადემიური სიყალბის (პლაგიატის) დადასტურების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გაბათილდება ამ სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ, მასზე დიპლომის გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გაუქმების საფუძველია.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტის მხრიდან პლაგიატის შემთხვევაში, ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების შედეგად შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით გაბათილდება დოქტორანტისათვის დოქტორის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის თანახმად, უნივერსიტეტის სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელი, შეეფარდება სტუდენტს/მსმენელს შემდეგი ეთიკური გადაცდომის შემთხვევებში:

ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერული ან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);

ბ) გამოცდაზე შევა სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;

გ) ჩაიდნის აკადემიურ სიყალბეს (პლაგიატს) - სასწავლო პროცესში შესაფასებლად წარადგენს სხვის ნაშრომს, როგორც საკუთარს;

დ) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად აწარმოებს თავისთვის ან სხვა სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხვას).

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის თანახმად, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის უხეშ დარღვევად ჩაითვლება პროფესორ-მასწავლებლის შემდეგი ქმედება:

ა) პლაგიატი; ბ) სტუდენტის შესაძლებლობის პირადი სარგებლის მიზნით გამოყენება; გ) სტუდენტისგან, უნივერსიტეტში დასაქმებულისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის/თანხის მიღება სარგებლის სანაცვლოდ ან პირიქით.

XVII თავი

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება სპეციალური ელექტრონული სისტემის საფუძველზე, სადაც აღირიცხება სტუდენტთა სწავლის შედეგები. სისტემის მართვის რეგულაცია მოცემულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებაში (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 2**).

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (შემდეგში „სისტემის“) მართვა ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტის/პერსონალის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ, ხოლო ადმინისტრირების კონტროლი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

სისტემის მართვა/ადმინისტრირება მოიცავს სხვადასხვა ოპერაციებს, რომელიც ხორციელდება შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში შემდეგნაირად:

1.1. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურის მიერ:

- ა) სისტემაში მომხმარებლის დამატება/რედაქტირება/წაშლა;
- ბ) სტრუქტურის დამატება/რედაქტირება/წაშლა;
- გ) სასწავლო კურსების დამატება/წაშლა;
- დ) უწყისების წაშლა/გენერირება/დაარქივება;
- ე) შეფასებისა და დასწრების კომპონენტების მართვა;
- ვ) შეფასების სისტემის, რეგისტრაციის და გამოკითხვების მართვა;

1.2. შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ:

- ა) ლექტორ-მასწავლებლის დამატება/რედაქტირება/წაშლა;
- ბ) სტუდენტის დამატება, რედაქტირება;
- გ) პროგრამაზე სტუდენტის მიმაგრება, წაშლა;
- დ) სასწავლო კურსების რედაქტირება;
- ე) უწყისების დამატება, რედაქტირება;
- ვ) უწყისზე სტუდენტების და პერსონალის (ლექტორ-მასწავლებლის) მიმაგრება/წაშლა;
- ზ) უწყისში ჯგუფების შექმნა;
- თ) მობილობის დასკვნების ასახვა;

1.3. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ - პროგრამის რედაქტირება.

1.4. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ - ფინანსური მოდულის მართვა.

1.5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ - საკომუნიკაციო მოდულის მართვა.

1.6. სასწავლო კურსის წარმმართველი პერსონალის (პროფესორი/მასწავლებელი/სპეციალისტი) მიერ:

ა) სააუდიტორიო მეცადინეობის მასალების ატვირთვა;

ბ) შეფასებებისა და დასწრების მონაცემების ასახვა სისტემაში.

2. სიტემაში ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირებმა და სტუდენტებმა ერთი კვირის ვადაში წერილობით უნდა მომართონ ადმინისტრაციას, რათა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზი.

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელიობა.

შესაბამისი სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული მართვის სისტემისა და დეკანის ოფისიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიცემა რექტორის ბრძანება აკადემიური რეგისტრაციის გაუფლელობის გამო შესაბამის პირთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო გამოცხადების მიზნით.

XVIII თავი

სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, კარიერული განვითარება და სხვა სტუდენტური სერვისები

ბსუ-ს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, სტუდენტური პროექტების განხორციელების, მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობასა და მომსახურებას უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

ამ სამსახურის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება;
- ბ) საუნივერსიტეტო აქტივობების განხორციელებისათვის სტუდენტთა მხარდაჭერა, ამ მიზნით სხვადასხვა სოციალური პროექტების მომზადება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
- გ) უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული საქმიანობის პოპულარიზაცია, ორგანიზება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური/სამეცნიერო/შემეცნებითი ხასიათის და საქველმოქმედო სახის შემოქმედებითი სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- დ) საუნივერსიტეტო სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების შექმნის შესახებ სტუდენტთა ინიციატივების წარმოდგენა, მათი რეალიზაციისათვის ხელშეწყობა და საქმიანობის კოორდინაცია;
- ე) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების/უნივერსიადების ორგანიზება, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, უნივერსიტეტის სახელით რეგიონალურ და რესპუბლიკურ უნივერსიადებში და სტუდენტურ დღეებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ვ) უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება და უნივერსიტეტის სტუდენტების შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის შესაბამისად;
- ზ) საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა;
- თ) სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათი ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა მათი სასწავლო პროცესთან დაახლოებისა და სამომავლოდ, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

- ი) სტუდენტების დახმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;
- კ) შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან (სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- ლ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ინტეგრირების მიზნით და შესაბამისი წინადადებების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენა;
- მ) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

სტუდენტური ინიციატივები და პროექტები

სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების მიღება რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის N01 გადაწყვეტილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 17)

დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი ინიციატივა/პროექტი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ან სპორტული თემატიკის.

სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება საბჭო, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, მათ შორის ერთი წევრი ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურიდან.

რექტორის ბრძანებით მტკიცდება სტუდენტური პროექტების განაცხადისა და შეფასების ფორმები.

უნივერსიტეტის მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნებისა და პროექტების განსახორციელებლად საჭირო (აუცილებელი) ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე და გამოყენებაზე გადაწყვეტილებას, ბსუ-ს შესაბამისი რესურსის ფარგლებში, იღებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

ბსუ-ს სტუდენტური ინიციატივები/პროექტები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს (გარდა უქმე დღეებისა), მაგრამ, შესაბამისი ინიციატივის/პროექტის სავარაუდო განხორციელების თარიღამდე 2 (ორი) თვით ადრე მაინც ან რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში (შესაბამისი კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში).

ინიციატივები/პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნეს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით, რომლებიც საბჭოს შესაბამისი სხდომის გამართვამდე გადაეცემა ბსუ-ს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- ა) სარეკომენდაციო წერილი (რომელიც დასაბუთებულად უნდა ასახავდეს პროექტის მნიშვნელობას შესაბამისი დარგისთვის. რეკომენდაცია წარმოდგენილი უნდა იყოს

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ);

ბ) სტუდენტ(ებ)ის ავტობიოგრაფია(cv);

გ) ცნობა ტუდენტის სტატუსის შესახებ.

ბსუ-ს ადმინისტრაციის ან/და საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში ინიციატორი/პროექტის ავტორი ვალდებულია წარმოადგინოს დამატებითი/დაზუსტებული პროექტი ან/და სხვა საჭირო მასალა, საბჭოს მიერ განაცხადის დროულად და ეფექტურად განხილვის მიზნით, ასევე პროექტის პრეზენტაცია.

პროექტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, პროექტის ავტორმა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე უნდა წარმოადგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში, რომელიც გასაცნობად წარედგინება საბჭოს.

საბჭო საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე.

საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

საბჭოს ყოველ სხდომაზე მდივანი ადგენს ოქმს, რომელიც სხდომის ჩატარებიდან არანაკლებ 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ბსუ-ს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების გაცნობას დაინტერესებულ პირთათვის.

საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ბსუ-ს ბიუჯეტის მონაცემები და სტუდენტური ინიციატივების/პროექტების პრიორიტეტულობა შემდეგი მიმართულებებითა და თანმიმდევრობით:

1. სამეცნიერო პროექტები;
2. კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები;
3. სპორტული ღონისძიებები;
4. არაფორმალური განათლება;
5. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტების ხელშეწყობა.

ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნა

რეგულირდება „ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნისა და მათი საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N05 გადაწყვეტილებით (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 18**)

ბსუ-ს ანსამბლები (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფები და სპორტულ გუნდები იქმნება (შემადგენლობა მტკიცდება) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. სამსახურის უფროსი ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს:

ა) ანსამბლში/ჯგუფში/გუნდში ჩარიცხვის მსურველის განცხადებას და ხელმოწერილ ხელშეკრულებას (არასრულწლოვანი მსურველის შემთხვევაში განცხადებას და ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე კანონიერი წარმომადგენელი);

ბ) სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის წარმართვის მიზნით შესაბამისი პერსონალის მოწვევისა და მათი

ფუნქციების აღწერილობის თაობაზე (ფუტსალის მწვრთნელი, კრივის მწვრთნელი, რაგბის მწვრთნელი, მანსანკანის სცენარისტის მოწვევა და სხვა) წინადადებას;

გ) სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით გასამართი ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების თაობაზე წინადადებას;

სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.

ბსუ-ს სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებაში (საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული ან კულტურული) მონაწილეობის დაფინანსება

ბსუ-ს სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებაში (საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული ან კულტურული) მონაწილეობის წახალისების მიზნით ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (25.04.2017 N5) დაწესებულია თითოეული სტუდენტისათვის ერთჯერადი წამახალისებელი ფულადი ჯილდო ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის:

- ა) ერთი დღისათვის არაუმეტეს 30 ლარისა - ქალაქგარეთ (ბათუმიდან 30 კმ-ზე მეტ მანძილზე) გასამართი ღონისძიებისათვის;
- ბ) ერთი დღისათვის არაუმეტეს 100 ლარისა - უცხო ქვეყანაში გასამართი ღონისძიებისათვის.

სტაჟირება ბსუ-ში

რეგულირდება „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 13) და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 14)

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის უზრუნველსაყოფად ბსუ ახალგაზრდა სპეციალისტებს უქმნის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

მოთხოვნას სტაჟიორთა რაოდენობის თაობაზე ბსუ-ს ადმინისტრაციას წარუდგენენ ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საჭიროების მიხედვით. სტაჟიორთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით, რომელსაც ატარებს დამსაქმებლის (რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის) მიერ შექმნილი სტაჟირების კომისია. დამსაქმებელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის კონკურსის გარეშე სტაჟიორად დანიშვნის თაობაზე.

კონკურსი ტარდება გასაუბრების ან/და ტესტირების ფორმით. კონკურსის ფორმას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიის წარდგინებით ადგენს დამსაქმებელი, რაც აღინიშნება კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებაში.

სტაჟიორად მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს იმ სტრუქტურულ ერთეულში საქმიანობისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლება (არის ბსუ-ს ბაკალავრიატის კურსდამთავრებული ან ბსუ-ს მაგისტრანტი), სადაც პირმა უნდა გაიაროს სტაჟირება, ან ბაკალავრიატის შესაბამისი სპეციალობის არანაკლებ მე-3 კურსის (სასწავლო წლის) სტუდენტი.

სტაჟიორი ვალდებულია:

- ა) სტაჟიორად დანიშნიდან არაუგვიანეს ორი კვირისა საფუძვლიანად გაეცნოს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას;

- ბ) უფლებამოსილების განხორციელებისას განუხრელად იხელმძღვანელოს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით;
- გ) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა კანონიერი დავალება, რომელიც მას დაეკისრება ხელმძღვანელის მიერ;
- დ) იქონიოს კონტაქტი იმ დაწესებულების პერსონალთან, სადაც გადის სტაჟირებას;
- ე) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება.
- ბ) ამ წესის დადგენილი სხვა შესაბამისი ნორმების დარღვევა;
- გ) არასაკმაყოფილო მიზეზით 5 დღის განმავლობაში სტაჟირების შესაბამის ქვედანაყოფში გამოუცხადებლობა;
- დ) სტაჟირების ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა.

სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამსაქმებელი საკუთარი ინიციატივით ან სტაჟირების ხელმძღვანელის ან მისი ზემდგომი უფროსის წინადადების საფუძველზე.

ბსუ-ში შესაძლებელია აგრეთვე სტაჟირების გავლა „სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.

აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირების გავლის წესი და პირობები განსაზღვრულია „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილებით.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის ისეთი პროფესიული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას, რაც აუცილებელია საჯარო მოხელისათვის.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, სტაჟირება ატარებს ერთჯერად ხასიათს, რათა მეტმა სტუდენტმა/კურსდამთავრებულმა მიიღოს საკუთარი საგანმანათლებლო პროფილის შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.

იმისათვის, რომ გაიაროთ სტაჟირება, უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ კრიტერიუმებს:

1. იყოთ საქართველოს მოქალაქე;
2. სწავლობდეთ სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უნივერსიტეტში, იყოთ ამ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, მაგისტრანტის ან დოქტორანტის სტატუსის მქონე პირი და უნდა გამოირჩეოდეთ მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება GPA-თ (მინიმუმ 3.0 შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში GPA-ს გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (მინიმუმ (B) ძალიან კარგი 81-90%);

სტაჟირების გავლის შესაძლებლობა აქვთ, აგრეთვე, იმ კურსდამთავრებულებსაც, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნული მაღალი აკადემიური მოსწრების მოთხოვნებს და მათი სწავლის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელზე მეტი.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბსუ-ში სტაჟირების გასავლელად უნდა დარეგისტრირდეთ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე (stajireba.gov.ge).

ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 25 თებერვლის N01-11/16 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესი (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 11). ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას ბსუ-ს ვებგვერდზე აქვს შესაბამისი ველი.

ბიბლიოთეკა ემსახურება ბსუ-ს სტუდენტებს, პერსონალს, ბსუ-ს სტუმრებს სხვადასხვა დაწესებულებებიდან, ასევე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის სხვადასხვა უფლებით.

ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსებს შეადგენს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები, წიგნადი ფონდი, საბიბლიოთეკო კოლექციები, ელექტრონული ბიბლიოთეკა (ელექტრონული წიგნები და პერიოდული გამოცემები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები; ელექტრონული სამეცნიერო ბაზები), ბსუ-ს სამკითხველო დარბაზში სათანადო წიგნადი ფონდით სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ბსუ-ს სტუდენტს, ასევე სტუმარს.

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში აბონემენტით მომსახურებით დაინტერესებულმა პირებმა ბიბლიოთეკის შესაბამის განყოფილებაში უნდა გაიარონ რეგისტრაცია, რისთვისაც უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) პირადობის მოწმობა;
- ბ) ბსუ-ში ჩარიცხვის (ან ჩარიცხვის უფლების ქონის) დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა სამუშაო ადგილიდან (ხელშეკრულების ვადის მითითებით);
- გ) ერთი ფოტოსურათი ზომით 3X4.

რეგისტრირებულ მომხმარებელს ენიჭება საიდენტიფიკაციო კოდი და იქმნება ბსუ-ს ბიბლიოთეკის მომხმარებლის ბარათი.

მომხმარებელი ვალდებულია რეგისტრაციის დროს მიაწოდოს ბიბლიოთეკას მონაცემები საცხოვრებელი მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ.

რეგისტრაციისას ბიბლიოთეკის მომხმარებელი ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, რასაც ადასტურებს მომხმარებლის ბარათზე ხელმოწერით.

ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღიურად, შემდეგი განრიგით:

- ა) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 9 საათიდან 20 საათამდე, შაბათს - 9 საათიდან 17 საათამდე - ყველა სამკითხველო დარბაზი, აბონემენტზე მომსახურება;
- ბ) კვირას 10 საათიდან 15 საათამდე - მხოლოდ დიდი სამკითხველო დარბაზი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N32/ნინოშვილის ქ. N35, მე-3 სართული);
- გ) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9 საათიდან 18 საათამდე - კომპიუტერული დარბაზები (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N32/ნინოშვილის ქ. N35, N51 და N400 აუდიტორიები);

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში შემავალი ყველა სხვა ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 9 საათიდან 18 საათამდე, შესვენება - 13 საათიდან 14 საათამდე.

ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა

ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა რეგულირდება **დებულებით** (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 15**) და ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის **საარჩევნო დებულებით** (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 16**). თვითმმართველობას ბსუ-ს ვებგვერდზე აქვს შესაბამისი ველი. ბოლოს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ბსუ-ში ჩატარდა 2017 წლის ივნისში.

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს - ფაკულტეტებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის ერთიანობას, რომელიც საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდებისა და შესაბამისი დებულების მიხედვით.

ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისაგან და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის $\frac{1}{4}$ -ზე ნაკლები.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლით.

ბსუ-ს ფაკულტეტებზე ასარჩევი ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრების რაოდენობა არ უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის $\frac{1}{3}$ -ზე ნაკლები. ზუსტ რაოდენობას, არჩევნებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე განსაზღვრავს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის და ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება არჩევნებში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

არჩევნებში მონაწილე კანდიდატები თუკი მოიპოვებენ თანაბარი რაოდენობის ხმებს, ყველა მათგანი გახდება ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი.

სტუდენტს ავტომატურად უწყდება თვითმმართველობის წევრის სტატუსი:

ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ (საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვა, პირადი განცხადება და სხვა);

ბ) **6 თვეზე მეტი ვადით** შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა;

გ) ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტზე გადასვლის (მოხილობის) შემთხვევაში.

თვითმმართველობის არჩევნები ცხადდება თვითმმართველობის პრეზიდენტის განკარგულებით, თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე ამ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობის შევსების საჭიროების შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა.

ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ბსუ-ს ნებისმიერ სტუდენტს (ამომრჩეველი) ბსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურიდან, გარდა სტატუსშეჩერებული პირებისა.

არჩევნებში კანდიდატად შეიძლება დარეგისტრირდეს აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს ბაკალავრიატის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 სემესტრის სტუდენტი ან მაგისტრატურის პირველი, მე-2 სემესტრის ან მე-3 სემესტრის სტუდენტი.

პირველადი სამედიცინო დახმარება

„ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის N01-11/79 ბრძანების (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 12) თანახმად, ბსუ-ში პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად მოქმედებს **სამედიცინო დახმარების კაბინეტი**, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს იურიდიული მისამართზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32), მე-2 კორპუსის (რუსთაველზე მდებარე) პირველ სართულზე, ოთახი N100.

კაბინეტს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ნიადაგბუნებრივი წესით და მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით (შესაბამისი მედიკამენტებით აღჭურვილი „გადაუდებელი დახმარების ჩანთა“, წნევის აპარატი, თერმომეტრი, გლუკომეტრი - შაქრის საზომი, დეფიბრილატორი).

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევის (მათ შორის უბედური შემთხვევის) დადგომისთანავე ნებისმიერმა პირმა უნდა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- ა) დროულად მიმართოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ადგილზე ან/და დარეკოს (კომუნიკაციის საშუალებების შესახებ მიეთითება საინფორმაციო დაფებზე და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);
- ბ) შეატყობინოს ბსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს (კომუნიკაციის საშუალებების შესახებ მიეთითება საინფორმაციო დაფებზე და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);
- გ) არ გადაადგილოს დაზარალებული ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იქ დარჩენა სახიფათოა;
- დ) აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო ან/და სახანძრო სამსახური (დარეკვა 112 -ზე) ან/და სხვა შესაბამისი სამსახური.

სამედიცინო კაბინეტს ემსახურება სამედიცინო განათლების მქონე პირი (შემდეგში „ექიმი-თერაპევტი“), რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სარგებლობა

უნივერსიტეტის სტუდენტი/მსმენელი სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად სარგებლობს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია ბსუ-ს პერსონალისა და სტუდენტებისათვის:

კომპიუტერული ტექნიკა, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში:

ა) ე.წ. „კომპიუტერულ კლასებში“ - სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდში (საათებში);

ბ) დერეფნებში და ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე - ნებისმიერ დროს;

გ) სამუშაო ოთახებში განთავსებულ ტექნიკაზე - შესაბამის პერსონალს;

უკაბელო ინტერნეტი - ნებისმიერ დროს (არის თავისუფალი, პაროლის გარეშე);

პროექტორები - სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდში (საათებში), ასევე ნებისმიერ დროს, საჭიროების შემთხვევაში;

ქსეროქსის აპარატები - ბსუ-ს სამუშაო საათებში.

უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი

საერთო საცხოვრებელი არის ბსუ-ს კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის ის ნაწილი, რომლის სარგებლობის ადმინისტრირება ხორციელდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სარგებლობის პირობებს და ადმინისტრირების ღონისძიებებს.

საერთო საცხოვრებელით შეიძლება შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ ისარგებლოს (**სასყიდლიანი სარგებლობა**):

ა) ბსუ-ს სტუდენტმა;

ბ) ბსუ-ს მსმენელმა (ტრენინგის/კურსის);

გ) ბსუ-ს დასაქმებულმა.